საქმე # 010332221900140720

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-07-21 **24 დეკემბერი, 2021 წელი**

თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა

შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ალექსანდრე წულაძე

მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი

მირანდა ერემაძე

სხდომის მდივანი - მ. დ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი გ. ს.

წარმომადგენელი - ვ. გ.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ. ხ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, მოქალაქეების - ვ. მ.-სა და შ. ბ.–ის საჩივრის საფუძველზე, ადვოკატ გ. ს.–ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილებით (თან ერთვის ადვოკატ ა. ჩ.-ს განსხვავებული აზრი) დადგინდა ადვოკატ გ. ს.–ის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და მის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ადვოკატ გ. ს.–ს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია;
- 2013 წელს შ. ბ.–მა და ვ. მ.-მ მიმართეს ადვოკატ გ. ს.–ს, რათა ეწარმოებინა მათი საქმე მოპასუხე ი. გ.–ის მიმართ, კერძოდ, ვ. მ.-სა და შ. ბ.–ის განცხადებით, ი. გ.–მა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით, ისესხა თანხა, სესხის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დაიტვირთა ვ. მ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ი. გ.–მა აღნიშნული თანხა უკან არ დააბრუნა;
- ადვოკატმა აიღო ვალდებულება, ეწარმოებინა შ. ბ.–ისა და ვ. მ.-ს საქმე სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების წესით;
- კლიენტებმა გ. ს.–ს იურიდიული მომსახურებისათვის გადაუხადეს 500 ლარი;
- აღნიშნულ საქმეზე ადვოკატთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა შ. ბ.–ს, თუმცა კომუნიკაცია იყო გართულებული, კლიენტს საქმეზე ინფორმაციის მისაღებად და ადვოკატის სანახავად უწევდა ადვოკატის საცხოვრებელ სახლთან ლოდინი;
- ადვოკატს სამოქალაქო საქმეზე თანხის დაკისრების მოთხოვნით სასამართლოსთვის სარჩელით არ მიუმართავს;
- ვ. მ.-სა და შ. ბ.–ის საცხოვრებელი ბინა, რომელიც სადავო სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით იყო დატვირთული, იძულებით გასხვისდა მათი დავალიანების დასაფარად;
- ადვოკატმა კლიენტებს საქმის მასალები 2018 წელს დაუბრუნა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

- გ. ს.–მა არ განუმარტა კლიენტებს, რომ მას არ ჰქონდა ადვოკატის სპეციალიზაცია სამოქალაქო სამართალში;

- ადვოკატმა კლიენტებს საქმის მიმდინარეობის თაობაზე მცდარი ინფორმაცია მიაწოდა და განუმარტა, რომ სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა სარჩელი;
- ადვოკატმა კლიენტებს საქმის მასალები არასრულყოფილი სახით დაუბრუნა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან ადვოკატმა კლიენტებს მომსახურება გაუწია სფეროში, რაშიც კვალიფიკაცია არ ჰქონდა, არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტების მიერ გადაცემულ თანხებთან დაკავშირებით, არ დაუბრუნა საქმის მასალები სრულყოფილად, ადვოკატთან დაკავშირება იყო რთული, ხოლო მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია - არასწორი, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირებისა და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები. ამასთანავე, ადვოკატის ქმედებით ზიანი მიადგა როგორც კონკრეტულ კლიენტს, ასევე - ადვოკატის პროფესიას. გარდა ამისა, ადვოკატის მხრიდან ვალდებულებების დარღვევა გრძელდებოდა ხანგძლივი დროის განმავლობაში - 2013 წლიდან 2018 წლამდე. შედეგად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - გ. ს.– მა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ქონა არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო კლიენტთა წარმომადგენელი სამოქალაქო სამართალწარმოების დროს, რწმუნებულების საფუძველზე.

ადვოკატი, ასევე, მიუთითებს, რომ 2014 წლის 2 თებერვლის თარიღით მოამზადა სარჩელი, თუმცა სასამართლოში არ წარადგინა, რადგან კლიენტებმა სათანადო მტკიცებულებები ვერ გადასცეს. შედეგად, ადვოკატმა შ. ბ.-ს დაუბრუნა სარჩელი და განუმარტა, რომ თუ სურვილი ექნებოდა, შეეძლო დაერთო შესაბამისი დოკუმენტები და თავად შეეტანა სარჩელი სასამართლოში.

ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტებს ყველა საბუთი სრულყოფილი სახით დაუბრუნა უკან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა,

დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ გ. ს.–ის საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირებისა და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, ასევე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გამოყენებული სახდელის პროპორციულობა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იმავე კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ასევე, განმტკიცებულია, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების მიხედვით, ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში; ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, **საადვოკატო საქმიანობა შესაბამის**

დარგში განახორციელოს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს. ამრიგად, საადვოკატო საქმიანობის განხორციელება და დავაში ადვოკატის სტატუსით მონაწილეობა დაკავშირებულია ადვოკატის სპეციალიზაციისა და განსახილველი დავის კატეგორიის თანხვედრაზე. ადვოკატის სტატუსის ქონას კი ცალკეულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირის წარმომადგენლად ყოფნის საკითხის განხილვისთვის, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც არ ჩაუბარებია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, **ეკრძალება წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში**, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. ამდენად, რადგან საადვოკატო საქმიანობის განხორციელების სფერო ადვოკატის სპეციალიზაციით არის შემოსაზღვრული და სამოქალაქო საქმეებზე შესაბამისი სპეციალიზაციის არმქონე პირს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეუძლია წარმომადგენლობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ადვოკატმა უნდა მოახდინოს კლიენტის სრულყოფილი ინფორმირება მისი სპეციალიზაციის შესახებ და განუმარტოს სპეციალიზაციიდან გამომდინარე დავის წარმოების თავისებურებანი, რათა კლიენტმა გაითვალისწინოს მოსალოდნელი რისკები, ხარჯები და ისე მიიღოს კონკრეტული პირის წარმომადგენლად აყვანის გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ <u>ადვოკატ გ. ს.–ს საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით</u>. ასევე, დადგენილია, რომ მან აიღო ვალდებულება, ეწარმოებინა შ. ბ.–ისა და ვ. მ.-ს <u>სამოქალაქო საქმე</u>, მოპასუხის - ი. გ.–ის მიმართ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე. კლიენტთა მიზანი იყო მოპასუხის მიერ ნასესხები თანხის დაბრუნება და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ვ. მ.-ს კუთვნილი ბინის იპოთეკისგან გათავისუფლება და უძრავი ნივთის იძულებით გასხვისების თავიდან აცილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან გ. ს.–ს სამოქალაქო საქმეზე ფიზიკურ პირთა წარმომადგენლობა შეეძლო როგორც კერძო პირს (და არა ადვოკატს) და თანაც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მას კლიენტებისთვის დასახელებული გარემოების თაობაზე ინფორმაცია უნდა

მიეწოდებინა. მიუხედავად ამისა, საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულებები და არც ფაქტობრივი გარემოებების თანმიმდევრობა ქმნის იმგვარ გონივრულ ვარაუდს, რომ კლიენტები ინფორმირებულნი იყვნენ მისი საადვოკატო სპეციალიზაციის შესახებ. აღნიშნული ვითარების საპირისპიროდ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შ. ბ.–მა გ. ს.–ს სწორედ ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარე მიმართა, რადგან წარსულში მისმა ოჯახმა უკვე ისარგებლა მისი საადვოკატო მომსახურებით; გარდა ამისა, შ. ბ. და ვ. მ. გ. ს.–ისგან იურიდიულ რჩევებს იღებდნენ. ამრიგად, კლიენტები საჩივრის ავტორს ადვოკატად აღიქვამდნენ სამოქალაქო სამართლის მიმართულებითაც და მათ შორის წარმოშობილი იყო არა უბრალოდ წარმომადგენლობითი, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, გ. ს.–მა დაარღვია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

სადისციპლინო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელება, ასევე, დაკავშირებულია ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და სათანადო კომუნიკაციაზე, კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულია, რომ ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების შესახებ. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ რადგან ადვოკატი მოქმედებს კლიენტის სახელით, მისი ყველა ქმედება ნაკარნახები უნდა იყოს კლიენტის ინტერესებით და ემსახურებოდეს კლიენტის უფლებების დაცვას, აუცილებელია, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი და კლიენტს მიეწოდებოდეს ამომწურავი ინფორმაცია საქმის გარშემო.

სადავო შემთხვევაში კი, ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას დადგინდა, რომ შ. ბ.-სთვის მნიშვნელოვნად იყო გართულებული გ. ს.–თან დაკავშირების შესაძლებლობა. დასახელებული გარემოება დადგენილ იქნა როგორც კლიენტთა განმარტებებითა და მათ მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებით, ისე - თავად გ. ს.–ის განმარტებებითაც. ამრიგად, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების წესის დარღვევას.

რაც შეეხება სამოქალაქო საქმეზე სარჩელის სასამართლოში წარუდგენლობას, უდავოდ დადგენილია, რომ გ. ს.–მა სამოქალაქო საქმეზე თანხის დაკისრების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი არ წარადგინა, თუმცა სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ ადვოკატს რაიმე

წერილობითი მტკიცებულების შექმნა, რომ სარჩელი კლიენტებთან შეთანხმებით არ წარადგინა, არ ევალებოდა; მის მიერ 2014 წლის 2 თებერვალს შედგენილი სარჩელის წარმოდგენა კი ადასტურებს, რომ გ. ს. მოქმედებდა სარჩელის სასამართლოში შეტანის სურვილითა და მიზნით; გარდა ამისა, ადვოკატმა ახსნა სარჩელის წარუდგენლობის კონკრეტული მიზეზი - მისი განმარტებით, სარჩელი სასამართლოში კლიენტთა მიერ სათანადო, სარჩელის საფუძვლიანობის დამადასტურებელი, აუცილებელი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო არ შეიტანა, რის შესახებაც მიაწოდა მათ ინფორმაცია. მართალია, შ. ბ.–მა და ვ. მ.-მ სადავოდ გახადეს ადვოკატის მიერ მათი ინფორმირების ფაქტი, მაგრამ ჩამოთვლილი გარემოებების გამაქარწყლებელი სათანადო მტკიცებულებები მათ არ წარმოუდგენიათ. კლიენტებმა სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები წარმოადგინეს, მაგრამ ვინაიდან დაკითხული მოწმეები კლიენტების ოჯახის წევრები არიან, მხოლოდ მათი განმარტება ვერ იქნება სადისციპლინო პალატის მიერ სადავო ფაქტის დადასტურებულად მიჩნევისთვის საკმარის მტკიცებულებად განხილული. უფრო მეტიც, კლიენტთა მითითებით, ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ სასამართლო მათ საქმეს განიხილავდა, თუმცა სადისციპლინო პალატა ამ განმარტებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რადგან სადავო პერიოდის მხედველობაში მიღებით (2013-2018წწ) კლიენტებს უნდა გასჩენოდათ ეჭვები და კითხვები სამართალწარმოების შედეგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად ვერ მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტებს სარჩელის წარუდგენლობის შესახებ არ აცნობა და მათთან შეთანხმების გარეშე იმოქმედა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ასევე, სადავოა ადვოკატის მიერ საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტზე, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის

მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. ამდენად, საადვოკატო მომსახურების გაწევის შეწყვეტა წარმოშობს ადვოკატის ვალდებულებას, სრულად და გონივრულ ვადაში დაუბრუნოს კლიენტებს საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტები.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადვოკატმა კლიენტებს საქმის მასალები მხოლოდ 2018 წელს დაუბრუნა მაშინ, როდესაც რეალურად საადვოკატო მომსახურება მას 2014 წლიდან არ განუხორციელებია. ამასთან, სადავოა დოკუმენტების სრულად დაბრუნების ფაქტი. სადისციპლინო პალატა, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებების და მისი სტატუსის მხედველობაში მიღებით, აღნიშნავს, რომ სწორედ ადვოკატმა უნდა ამტკიცოს დოკუმენტების კლიენტისთვის დროულად და სრულად დაბრუნების ფაქტი. სადავო შემთხვევაში კი, ადვოკატს არ შეუდგენია დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე, არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ სრულყოფილად დააბრუნა გადაცემული დოკუმენტაცია. ამდენად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს საჩივრის ავტორის მიერ საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევას.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ გ. ს.–ის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევების ჩადენის დადასტურება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნის. იმავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: გაფრთხილება; საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ამრიგად, კანონმდებლობით გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელის რამდენიმე სახე, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ადვოკატის უფლებებზე ზემოქმედების ხარისხით, ინტენსივობითა და შედეგებით. პასუხისმგებლობის არაერთი ზომის შემოღების მიზანი კი ადვოკატის მიერ ჩადენილი დარღვევის პროპორციული და შესაბამისი სახდელის შერჩევის შესაძლებლობის შექმნაა. სწორედ ამიტომ, დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის შეფარდებამდე, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და დადგენილი როგორც ადვოკატის მიერ ჩადენილი დარღვევის სახე, სიმძიმე და გამოწვეული შედეგები, ასევე, შეფასებულ უნდა იქნეს ადვოკატის პიროვნება და მისი ბრალეულობა. ამასთან, რადგან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ყველაზე მძიმე სახდელია, ის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც დარღვევების ხასიათიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ნაკლები ზომის გამოყენება გამართლებული არ არის.

სადისციპლინო პალატა, გ. ს.–ისთვის დისციპლინური სახდელის

შეფარდების საკითხის შეფასებისას, ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 სადავო გადაწყვეტილებაში მითითებული ყველა დარღვევის ჩადენა არ დადასტურებულა, ხოლო დადგენილი დარღვევის სიმძიმისა და შედეგების გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ გ. ს.–ის მიმართ ადრე რაიმე დისციპლინური სახდელის სახე გამოყენებული არ ყოფილა, ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა მის მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის შეუსაბამოდ მძიმე სახის სახდელია და ადვოკატის უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას იწვევს. ამასთან, რადგან ადვოკატმა დაარღვია კლიენტთან კომუნიკაციის წესი, არასრულყოფილად შეასრულა კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება, არასრულად და არადროულად დაუბრუნა კლიენტებს საქმის მასალები, მის მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის თანაზომიერ და ადეკვატურ სახდელს საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 თვემდე ჩამორთმევა წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატ გ. ს.–ს დისციპლინური სახდელის სახედ განესაზღვრება - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვემდე ვადით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 75^{66} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ გ. ს.–ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 14 თებერვლის №060/18 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ადვოკატ გ. ს.–ს დისციპლინური სახდელის სახედ განესაზღვროს - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვემდე ვადით;
4. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:	/ალექსანდრე წულაძე/
მოსამართლეები:	/ზურაბ ძლიერიშვილი/
	/მირანდა ერემაძე/